პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 1 ნოემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი — ფასი 3 კ. — თვიურად 80 კ.

# წითელი მეომარი

947 (249) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ. ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. 5. სტრ

## ამხანაგ ფრუნზეს გარდაცვალება

რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი აუწყებს რუსეთის კომპარტიის ცეკას წევრის, წითელი არმიის და ფლოტის ბელადის, საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის ამხ.

**მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს**

გარდაცვალებას.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის

**ამხ. მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს**

უდროვო გარდაცვალებას.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო აუწყებს წითელი არმიის და ფლოტის ბელადის, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის

**ამხ. მ. ვ. ფრუნზეს** გარდაცვალებას.

პირველი და მეორე ქართული დივიზიები აუწყებენ ქართული წითელი ჯარის მეთაურებს, პოლიტმოშაკეებს და წითელარმიელებს წითელი არმიის სახელოვანი ბელადის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ამხ.

**მიხეილ ფრუნზეს**

უდროვო გარდაცვალებას.

## მოკვდა ფრუნზე.

ულმობელმა სიკვდილმა კომუნისტური პარტიის რიგებს გამოსტაცა საუკეთესო წევრი, ძველი რევოლიუციონერი ამხ. მიხეილ ფრუნზე.

მოკვდა წითელი არმიის სახელოვანი და საყვარელი ბელადი. მისი უდროვოთ დაკარგვა უდიდესი დანაკლისია ჩვენი პარტიისათვის და განსაკუთრებით წითელი ჯარისთვის.

ამხ. ფრუნზეს სახელი მჭიდროთ დაკავშირებულია წითელი არმიის გმირულ ისტორიასთან.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლში მედგრად მიუძღოდა წინ ის წითელ არმიას და მიყავდა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

მთელი თავისი სიცოცხლე მან შესწირა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს და რევოლიუციას.

ყოველთვის და მუდამ ის იყო მშრომელთა თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

არაჩვეულებრივმა დაღალავმა რევოლიუციონურ ბრძოლამ და მუშაობამ მოშალეს მისი ჯანმრთელობა. განუკურნებელმა ავადმყოფობამ იმსხვერპლა ის.

მთელი წითელი არმია დღეს გლოვობს თავისი საყვარელი და სახელოვანი ხელმძღვანელის დაკარგვას.

მაგრამ ამასთანავე ის უფრო მტკიცედ ამჭიდროვებს თავის რიგებს და ფიცს სდებს ძვირფასი ბელადის წინაშე, რომ ის მედგრად იქნება მშრომელთა ხალხის სადარაჯოზე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს იმ იდეალებისათვის, რომელსაც ემსახურებოდა ამხ. ფრუნზე.

მოკვდა ფრუნზე.

მაგრამ მისი სახელი მუდამ ცოცხალი იქნება ყოველი წითელი მეომრის, ყოველი მუშისა და გლეხის გულში.

დღეს! ამხ. ფრუნზეს რევოლიუციონური მოღვაწეობა, მთელი მისი ცხოვრება მაგალითი იყოს ყველა წითელ მებრძოლისათვის.

დავხაროთ წითელი დროშები!

მუხლები მოვიდრიკოთ საყვარელი მიხეილ ვასილის ძის ცხედრის წინაშე!

მუდამ ერთგული ვიყოთ მისი ანდერძებისა!

## უფრო მტკიცედ შევამჭიდროვოთ რიგები.

მოულოდნელად ტელეგრაფმა მოგვიტანა შემაძრწუნებელი ამბავი: შეუბრალებელმა ავადმყოფობამ და სიკვდილმა ჩვენს რიგებიდან გამოგლიჯეს მუშურ გლეხური წითელი არმიის ბელადი და ხელმძღვანელი, მისი პირველი მებრძოლი მიხეილ ვასილისძე ფრუნზე.

არა ბრძოლის ველზე დაეცა ის—ეს ბრძოლის ველი უკვე შორეულ წარსულს ჩაბარდა—ის დაეცა ჯან-გაწყვეტილი ბრძოლითა და მუშაობით.

კვლავ ახალი დანაკლისი ძველ ბოლშევიკურ გვარდიაში, კვლავ მწვავე ტკივილებში ითანგება გული.

ამხ. ფრუნზეს სახელი—წითელ ფრონტების გმირის სახელია. ამ სახელთან მჭიდროთაა დაკავშირებული წითელი არმიის მთელი ისტორია, მისი გაძლიერებული ზრდა და მისი ბრძოლის უფრო როული მომენტები.

ჭეშმარიტ მომუშავე ბოლშევიკი-გამომბრძმედილი მებრძოლი



მ. ვ. ფრუნზე

და ძლევამოსილი მუშურ-გლეხური ქვეყნის არმიის ბელადი, სამოქალაქო ომის წლებში ის ჩაუდგა სათავეში მუშურ-გლეხურ წითელ არმიას იმ მომენტში, როდესაც ის გადადიოდა მშვიდობიან სწავლებაზე, მშვიდობიან მომზადებაზე მომავალი შეტაკებისთვის მუშურ გლეხურ წითელი არმიის მტრებთან. წითელი არმიის სულის ჩამდგმელად მისი ცხოვრების ამ პერიოდში, როგორც სამოქალაქო ომის წლებში—ეს იყო მისი ძველი მებრძოლი ამხ. ფრუნზე. მთელი მისი დაუღალავი მოღვაწეობა მიმართული იყო ერთი მიზნის—წითელი არმიის შრომის უნარიანობის გაძლიერებისაკენ, ძლიერი სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისა და პოლიტიკურ შეგნების ამაღლებისაკენ.

ამხ. ფრუნზეს უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნა წ. არმ შინა ორგანიზაცია.

აღარ გვყავს ამხ. ფრუნზე. სიკვდილმა გამოგვაცალა ის ჩვენი რიგებიდან. მაგრამ გვრჩება საქმე, რომელსაც მან შესწირა თავისი დაუდგრომელი ენერგია. გულდაკოდილნი მტკიცედ შევამჭიდროებთ რიგებს და გავსწევთ წინ ბრძოლის გზაზე, რომელზედაც მიგვიძღოდა ჩვენი საუკეთესო ხელმძღვანელი და პირველი მებრძოლი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა ამხ. ფრუნზე.

რატნეკი.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ფრუნზეს 29 აგვისტოს გაუკეთეს ოპერაცია, რომელიც გაგრძელდა 35 წუთი.

მას აღმოაჩნდა მეტად მძიმე ავადმყოფობა წელების და საერთო მუცლის ღრუსი.

ოპერაციის დროს გულის ცემის შესუსტების გამო ხელოვნურად იწვევდენ გულის მოქმედებას. დღენახევრის განმავლობაში ექიმები მიმართავდენ ზომებს გულის სისუსტის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველგვარ ცდები ამაო გამოდგა და ამხ. ფრუნზე გარდაიცვალა.

## მ. ვ. ფრუნზე.

ამხ. ფრუნზე დაიბადა 1885 წლის გიშპეკში, თურქესტანის მხარის სემირეჩიეს ოლქში. მამა მისი შთამომავლობით გლეხი, მსახურობდა სემირეჩიეში ფერშლად, დედა—აგრეთვე გლეხის ქალი იყო.

რევოლიუციონურ იდეებს ის პირველად გაეცნო ვერნეის გიმნაზიაში, პოლიტეხნიკუმში სწავლის დროს ის შევიდა სოც. დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციაში და მაშინვე მიემხრო ბოლშევიკურ მიმდინარეობას. 1905 წელს მუშაობდა ივანოვო-ვოზნესენსკის ხამ-ეწველო რაიონში და იყო 1905 წელში მომხდარ ფეიქართა ცნობილი გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი.

1907 წლის დასაწყისში დაპატიმრებული იქნა შუეში და გასამართლებული იქნა რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ბოლშევიკურ მიმდინარეობის წევრობისათვის. პოლიციისათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევის გამო მისჯილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ შეუცვალეს იგი კატორღაში გადასახლებით. შეღავათის გავრცელების გამო 1914 წლის ბოლოში განთავისუფლებული იქნა ციხიდან ირკუტსკის გუბერნიაში დასასახლებლად.

1915 წლის ზაფხულზე ხელახლა იქნა დაპატიმრებული გადასახლებულთა ორგანიზაციის მოწყობისათვის. 1915 წლის აგვისტოში გაიქცა ციხიდან, მუშაობდა არალეგალურად ზაბაიკალის ოლქში ვასილენკოს გვარით, ხოლო შემდეგ, როდესაც საიდუმლო პოლიციამ მიაგნო, ის გაიქცა ევროპის რუსეთში, სადაც მიხაილოვის გვარით წავიდა დასავლეთის ფრონტზე სრულიად რუსეთის ერობათა კავშირში და მუშაობდა არალეგალურ რევოლიუციონურ ორგანიზაციის დასაარსებლად. თებერვლის რევოლიუციის მომენტში ფრუნზე სათავეში უდგა უკვე არალეგალურ რევოლიუციონურ ორგანიზაციას, რომლის ცენტრი მინსკში იმყოფებოდა ხოლო განყოფილებანი მესამე და მეათე არმიებში.

კორნილოვის დღეებში, ფრონტის კომიტეტის და მინსკის საბჭოს აღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე დანიშნულ იქნა მინსკის უბნის რევოლიუციონურ ჯარების უფროსად.

ოქტომბრის რევოლიუციის მომენტში ფრუნზე მეთაურობს შუა-ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონის შეიარაღებულ ძალებს, ჩამოდის მოსკოვში ორიათას შეიარაღებულ მუშებით და ჯარისკაცებით და იღებს უშუალო მონაწილეობას ოქტომბრის ბრძოლებში. ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის დაარსების შემდეგ, ფრუნზე ინიშნება საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარედ. 1919 წ. აპრილში, კოლჩაკის არმიის შეტევის მომენტში, როცა ის ემუქრებოდა ყაზანს, სიმბირსკს და სამარას, ფრუნზე დანიშნულ იქნა აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთის უბნის 4 არმიის სარდლად. მან მოაწყო შეტევა კოლჩაკის არმიების წინააღმდეგ ბუზულუკის რაიონში. შეტევამ ჩაშალა კოლჩაკის შეტევითი ოპერაციები და უკან დაახევინა მის არმიას მთელი აღმოსავლეთის ფრონტზე.

მის უშუალო ხელმძღვანელობით ბოლო ელება პეტლიუროვშჩინას და მახნოვშჩინას. ამასთანავე 1921 წელს პოლტავის გუბერნიაში ის ერთ ადგილას იქნა დაჭრილი და სრულიად შემთხვევით გადარჩა. ფრუნზეს აჩუქებენ განმეორებით წითელი დროშის ორდენით.

1925 წლის 26 იანვარს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ამხ. ფრუნზე ინიშნება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ.

ფრუნზე იყო სრულიად რუსეთის ცეკას წევრი საბჭოების 3-ე ყრილობიდან. რუსეთის კომპარტიის 10-ე ყრილობაზე არჩეული იქნა ცეკას წევრად და იყო ასეთად სიკვდილამდე.

# წითელ არმიელო! ებრძოლე წერა-კითხვის უცოდინარობას!

დღეიდან იწყება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კვირეული, ამ კვირეულის მიზანია წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების გაძლიერება და მით უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში ფართო მშრომელთა მასების ჩაბმა.

საბჭოთა ხელისუფლება დაუზოგველად ებრძვის უკულტურობას და ჩამორჩენილობას, რომელიც გვიანდერძა ჩვენ ძველმა თვითმპყრობელურ და ბურჟუაზიულ წესწყობილებებმა. გაბატონებული კლასები—მეფე, ბურჟუა, მემამულე მოწადინებული იყვნენ, რათა მუშები და გლეხები უვიცობასა და სიბნელეში ყოფილიყვნენ.

მყვლეფელებს კარგად ქონდათ შეგნებული, რომ გაუნათლებელი, უვიცი მშრომელის გაყვლეფა და მოტყუილება უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე განათლებულისა.

ამიტომ იყო რომ განათლება და სწავლა წინად არსებობდა მხოლოდ შეძლებულთა შვილებისათვის და არა ფართო მშრომელთა მასებისათვის.

დღეს კი მუშურ-გლეხური დიქტატურის ხანაში ცოდნა და სწავლა გახდა ყველა მუშების და გლეხებისათვის მისაწდომი. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ასწიოს მშრომელთა კულტურული დონე, მოსპოს სიბნელე და უვიცობა; არას დროს სახალხო განათლების საქმე არ იყო ისე ფართედ დაყენებული როგორც დღეს.

ჩვენ ვიცით, რომ რამდენათ მაღლა იქნება განათლება საბჭოთა ქვეყანაში და ნაკლები იქნება უცოდინართა რიცხვი, იმდენათ უფრო სწრაფად წავალთ წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე. ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხ. ლენინმა დაგვიტოვა ანდერძი, რათა ოქტომბრის ათი წლის თავზე მთელ საბჭოთა კავშირში არ მოიპოვებოდეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი.

ეს დიდი და ძნელი ამოცანა არის. მარტო საბჭოთა ხელისუფლება ამ ამოცანას ვერ გაუმკლავდება, ვინაიდან საკმაო მატერიალური საშუალებები მას არ გააჩნია. დიდი მასწავლებლის ანდერძს კი შესრულება უნდა. და აი აქ საბჭოთა ხელისუფლებას ამ დიდ საქმეში გვერდში უნდა ამოუდგეს ყოველივე შეგნებული მშრომელი და ჩაეწეროს საზოგადოება „წერკუმსში“.

წითელი არმია დიდ როლს თამაშობს ხალხის გათვითცნობიერების და განათლების საქმეში. თავის კედლებში ის სპობს წერა-კითხვის უცოდინარობას და სოფელს უბრუნებს შეგნებულ და მცოდნე მუშაკს.

ამიტომაც ამ კვირეულში ჩვენმა წითელმა ჯარმაც უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა. თითეულ წითელარმიელი ვალდებულია ჩაეწეროს „წერკუმსის“ საზოგადოებაში და გახდეს მისი აქტიური, შეგნებული წევრი.

წითელარმიელებმა აგრეთვე ფართოდ უნდა განუმარტონ კვირეულის მნიშვნელობა გლეხებს და მოუწოდონ მათ ჩაეწერონ „წერკუმსში“.

საერთო ძალით დავსძლიოთ უკულტურობა, მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა და მით ხელი შევუწყოთ სოციალისტურ წესწყობილების დამყარების დაჩქარებას.

# ლოზუნგები ოქტომბრის რევოლუციის მერვე წლის თავისათვის

ძმური სალამი ჩინეთის მუშებსა და გლეხებს, ძმური სალამი მაროკოს მშრომელ ხალხს, რომელთამაც აიღო რევოლიუციონური ბრძოლის თაოსნობა კოლონიალურ მონობისაგან განთავისუფლებლად!

ჩვენი მეურნეობა ომამდე არსებულ დონეზეა. გადავაბიჯებთ მას მეცხრე წლის თავზე.

დამარცხებულია მემამულეებისა და კაპიტალისტების კონტრ-რევოლიუციონური ზრახვები. მუშათა კლასო, აღადგინე სოციალიზმის სახელით მსხვილი მრეწველობა. წინ ამ გზაზე! ამაგრეთ ახალი წესწყობილების საძირკველი!

მრეწველობის ბერკეტით მაღლა იწევა გლეხთა მეურნეობა. მეტი იარაღი, მეტი მანქანა!

თვითეული ახალი თითისტარი ფაბრიკაში, თითეული ახალი დაზგა ქარხანაში აიაფებს საქონელს—ამტკიცებს კავშირს.

საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით, მსხვილი სოციალისტურ მრეწველობის დახმარებით, კოოპერაციის საშუალებით—სოციალიზმისაკენ.

ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება მასების აქტიურობაშია. მუშებო და გლეხებო გააძლიერეთ საბჭოები. ათასი, მილიონი ხელებით გაჰქონეთ მმართველობის ორგანოები, ორგანოები სოციალისტური აღმშენებლობისა!

პროფკავშირები—პროლეტარიატის დიქტატურის ხერხემალია. მუშებო და მუშა ქალებო, თვითმოქმედებითა და თაოსნობით ამტკიცეთ და აცხოველეთ პროფკავშირები!

რკ-ნის ცოცხით ალგავეთ მექრთამეები, ბიუროკრატები და სახალხო მონაპოვრის მფლანგველები!

დეე იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს მუშებისა და გლეხების დიადი კავშირი, დეე, მტკიცდებოდეს მისი საფუძველი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ!

დეე, იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს რუსეთის კომუნისტური პარტიის რიგები!

გაუმარჯოს ჩვენს მებრძოლ პარტიას—პროლეტარიატის მოწინავე რაზმს, მშრომელთა ბელადს!

გაუმარჯოს მუშათა კლასის დიდ მოძღვრებას, პროლეტარული რევოლიუციის იარაღს—ლენინიზმს!

კარგი წიგნი, კარგი კლუბი, კარგი ბიბლიოთეკა, მეტი წერა-კითხვის ცოდნა, მაღალი პოლიტიკური შეგნება!

გაუმარჯოს თავისუფალ ერთვნებათა თავისუფალ კავშირს!

ძლიერი, კარგად გაწვრთნილი წითელი არმია, თავდებია მშვიდობიანი მუშაობისა, გლეხის—გუთანზე, მუშის—დაზგასთან. განამტკიცეთ წითელი არმია და ფლოტი! წითელო არმიავ! დაიცავი მშრომელთა მშვიდობიანობა, იყავ მზად!

რ.კ.ბ.ც.კ.

# სამხედრო საქმე.

## ქიმიური ჭურვები და მათი მოქმედება.

გრანატებსა და შრაპნელებს გარდა უკანასკნელ იმპერიალისტურ ომიდან (1914—18 წ.წ.) არტილერიამ შემოიღო ეგრედ წოდებულ ქიმიურ ჭურვების ხმარება. თავისი გარეგანი სახით ეს ჭურვები თითქმის არაფრით არ განირჩევიან ფუგასურ მოქმედების ჭურვებისაგან (გრანატები, ბომბები). ქიმიურ ჭურვას ამფეთქებელ ნივთიერების გარდა (როგორც ეს გრანატას აქვს) შიგნით აქვს მომწამვლელი ნივთიერებანი სითხის ან პატარა მაგარ ნაწილაკების სახით. მიწაზე დაცემის დროს ქიმიურ ჭურვის თავზე მყოფი ამფეთქებელი სკდება, ამტვრევს ჭურვას და ავრცელებს სითხეს, რომელიც ორთქლდება და წარმოშობს მომწამვლელი აირის ღრუბელს.

ქიმიური ჭურვებით სროლის მიზანია გაანადგუროს ან ზიანი მიაყენოს ცოცხალ მიზნებს, რათა შეასუსტოს ამით მტრის ბრძოლის უნარიანობა. ქიმიური ჭურვები მეტ ნაწილად მზადდება შემდეგი აირებისაგან:

1) მხუთავი, რომელსაც შეუძლია სიკვდილის და გაგუდვის გამოწვევა; 2) მუწუკის გამომწვევი, რომელიც აწყლულებს და სჭამს კანს (აჩენს სეწითლესა და წყლულებს) და აგრეთვე მოქმედებს თვალსა და ყურზე; 3) გამაღიზიანებელი, რომელიც იწვევს ცრემლის დენას, ცხვირცემინებას, პიროებინებასა და ხველებს და 4) ახამიანი, რომელიც თავის მოქმედებით სწამლავს სისხლს, არღვევს გულის მუშაობას და იწვევს სიკვდილს. აირების ყველა ეს სახეები, რომლებითაც მზადდება ქიმიური ჭურვები, საშიშია და მიმართულია მეტად ცოცხალი ძალების წინააღმდეგ. ამიტომ, ქიმიური ჭურვების შემოღებით არტილერიის შეიქნა უფრო ძლიერი და, თუ რომ წინად ხშირად ვერ აზიანებდა მტრის ცოცხალ ძალას, რომელიც იმალებოდა მიწაში (მელის ბუნაგი და სხვა საფარი), დღეს ამას ადვილად ასრულებს. აირს აქვს თვისება ჩადგეს (ჩაძვრეს) დაბალ ადგილებში, ვინაიდან ის ჰაერზე უმძიმესია. ამიტომ საფარში ვერ დაემალები აირს. ერთადერთი საშუალება აირისაგან თავდასაცავად—ეს არის აირმასპობი. მართალია აქაც არის ერთი სიძნელე: ხშირად ძნელია გაარკვიო როგორ ჭურვას ისვრის მტერი, ვინაიდან აირს არ აქვს არც სუნი და არც გემო. არის ერთგვარი ნიშნები, მაგრამ ისინიც ხშირად ვერ არიან სწორი: აფეთქების დროს ქიმიური ჭურვა სკდება ყრუდ.

მაგრამ ეხლა არიან უკვე ჭურვები, რომლებსაც აირს გარდა აქვთ შიგნით ამფეთქებელი ნივთიერებაც, რისთვისაც ისინი ჩვეულებრივ ჭურვებსავით სკდებიან.

ქიმიურ ჭურვებისაგან თავდაცვის უფრო საიმედო საშუალებაა—მუდამ მზად გვქონდეს კარგად შენახული აირმასპობი. ქიმიურ ჭურვებით სროლა ყოველთვის სწარმოებს მოულოდნელად და რამოდენიმე იარაღიდან ერთბაშად ერთსა და იმავე ალაგზე. ეს იმიტომ, რომ მტერს მოულოდნელად დაეცეს შიშის ზარი და გააქციოს და კიდევ იმიტომ, რომ სულ მოკლე დროში შეჰქმნას (კაუშვას) ერთ ადგილზე რაც შეიძლება მეტი აირი და მოსწამლოს ის. მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ გერმანელები, რომლებმაც 1917 წელში ქალაქ ნევილთან გამოუშვეს 40.000 ქიმიური ჭურვა ათი კილომეტრის მანძილზე.

ი. ბარ.

# წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზ-ის „წერკუმს“-ის წლი-ნახევრის მუშაობა.

საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზ-ა „წერკუმს“-ი დაარსდა 1924 წლის მაისის დამლევს.

საზოგადოებამ მიზნად დაისახა ხელი შეუწყოს საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და დაეხმაროს პოლიტგანათლების მთავარსამმართველოს სკოლის გარეშე განათლების საქმეში. აღძრულ შუამდგომლობის თანახმად იმავე ხანებში ცენტრალურ გამგეობამ მიიღო სახალხო კომისართა საბჭოსაგან დახმარების სახით ერთდროულად 500 მანეთი. ამ თანხით გამოცემულ იქნა საზოგადოების წესდება, საწევრო ბარათები და ქვითარები, სათანადო ლოზუნგები, ერთდღიური გაზეთი „სინათლისაკენ“ და პლაკატები. აღნიშნული მასალები და სათანადო ინსტრუქცია დაუყონებლივ დაეგზავნა მაზრებში ადგილობრივ პოლიტგანებს, დაევალა მათ დაეარსებიათ მაზრებში წერკუმს-ის განყოფილებანი და დაეწყოთ კამპანია მშრომელთა ფართო წრეებში წერკუმს-ის ამოცანების გასაშუქებლად. ამნაირად ყველა წარმოება—დაწესებულებებში, სოფლებში ამოძრავებული იქნა მშრომელი მასსა და დაარსდა წერკუმს-ის უჯრედები.

მიმდინარე წლის ზაფხულში საზოგადოებას უკვე ჩამოყალიბებული ქონდა სამაზრო გამგეობები 14 მაზრაში, 399 უჯრედი, 4 რაიონი და გატარებული იყო რეგისტრაციაში 14 ათას წევრამდე.

ქ. ტფილისში და მის მაზრაში მუშაობას აწარმოებს ცენტრალური გამგეობა.

წლის თავზე მუშაობის გადასასინჯავათ რესპუბლიკის მაშტაბით, შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად და მომავალისათვის მთლიანი გეგმის შესამუშავებლად მოწვეულ იქნა 5-6 სექტემბერს ცენტრალური გამგეობის პლენუმი ადგილობრივ მუშაკების მონაწილეობით. მან დაადასტურა ცენტრ. გამგეობის პრეზიდიუმის გასული მუშაობის სისწორე და დაისახა მომავლისათვის შემდეგი ამოცანები: ჩაბმულ იქნეს წერკუმ-ის რიგებში მომავალ წელში 100.000 წევრი, გახსნილ იქნეს ამ წლის განმავლობაში ცენტრ. გამგეობის ხარჯზე 500 სალიკვიდაციო სკოლა და ამდენივე უჯრედების სახსრით, ჩატარებულ იქნეს 1-7 ნოემბრამდე კვირეულ წერკუმსის იდეების საპოპულიარიზაციოდ და მოწვეულ იქნეს ნოემბრის დამლევს წერკუმს-ის სრ. საქართველოს ყრილობა.

მთავარი ამ დადგენილებათაგანი ცენტრ. გამგეობამ უკვე გაატარა კიდეც ცხოვრებაში: გახსნა მაზრებში 500 სკოლა, მოამზადა და ატარებს წერკუმს-ის კვირეულს და 28 ნოემბრისათვის მოიწვია სრულიად საქართველოს ყრილობა.

სალიკვიდაციო სკოლებისა და სკოლის გარეშე სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების მიწოდების მიზნით ცენტრ. გამგეობასთან არსებობს გამომცემლობა, მან უკვე გამოუშვა 17 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი—საერთო რიცხვი 193.800 ცალი და დამზადებული აქვს კიდევ მრავალი სხვა წიგნებიც გამოსაცემად.

თავის მატერიალურ საშუალებათა გასაძლიერებლად საზოგადოება წერკუმს-ს დაწესებული აქვს ერთდროული გადასახადი წევრად ჩაწერის დროს 10 კაპ. და საწევრო გადასახადი წლიურად 24 კაპ. ღებულობს შემოწირულებებს კერძო პირებისაგან და დაწესებულება-წარმოებებიდან. მაგრამ, ვინაიდან აღნიშნული შემოსავალი ძალიან მცირეა იმ დიად მიზნის განსახორციელებლად, რომელიც დასახული აქვს წერკუმს-ს) თითო წერა კითხვის უცოდინარის სწავლება მას უჯდება არა ნაკლებ სამი მანეთისა); ამიტომ ცენტრ. გამგეობასთან დაარსდა სავაჭრო საექსპლოატაციო განყოფილება, რომლის ბალანსიც გამოქვეყნებული იქნა გასულ დღეებში.

იმავე მიზნით და მუშაობის აგიტაციური მხარის გასაძლიერებლად ცენტრალურ გამგეობასთან დაარსებულია აგრეთვე კინო-სექცია.

დღეს წერკუმს-ის ცენტრალურ გამგეობას ისე მტკიცედ და ფართოდ აქვს დაყენებული თავისი მუშაობა, რომ მშრომელთა მასის აქტიური დახმარებით მას იმედი აქვს პირნათლად და თავის დროზე შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

პ. მგ. მდივანი ხვანაძე.

ორშაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა:

1. კომუნალური (წითელი თეატრი).

**დღის წესრიგი**

ა. მოხსენება ქალ. სასაკლაოს შესახებ.

ბ. მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო (აღმასკომი, ოთახი № 203).

**დღის წესრიგი**

ა) გადასახადთა ქ. განყ. მოქმედების ანგარიში გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

ბ. მიმდინარე საკითხები.

3. განათლების (აღმასკომი, ოთახი № 333)

**დღის წესრიგი**

ა) „საბჭოთა შრომის სკოლა“.

ბ) მიმდინარე საკითხები.

4. ჯანმრთელობის (აღმასკომი, ოთახი № 256).

**დღის წესრიგი**

ა) ჯანმრთ. განყოფილების სანიტ.—განმანათლებელი ქ. განყ. 1926 წ. მუშაობის გეგმის დამტკიცება.

ბ) მოხსენება ქ. ტფილისში პურის გამოცხობისა და პურის საცხობების შესახებ.

გ) მიმდინარე საკითხები.

5. სოფლად მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის (აღმასკ. ოთახი № 208).

**დღის წესრიგი**

ა) მოხსენება აგრო-დახმარების შესახებ მაზრაში.

ბ) მომავალი საბჭოების არჩევნების შესახებ.

გ) მიმდინარე საკითხები.

6. სამხედრო (აღმასკომი, დარბაზი № 234)

**დღის წესრიგი.**

ა) მოხსენება სექციის სამუშაო გეგმის შესახებ 1925 წ. ნოემბრის და ოქტომბრის თვეებში.

ბ) სექციის ბიუროს არჩევნები.

გ. მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი არ. რუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

## ვემზადებით ოქტომბრისათვის.

**მეთაურთა სკოლა.**

ოქტომბრის დღესასწაულის მოახლოებამ ძლიერ გამოაცოცხლა სკოლის კლუბისა და ყველა წრეების მუშაობა. დიდი მზადებაა სკოლაში ამ დღისათვის. ეწყობა კლუბი, შეაკეთეს სცენა დეკორაციით—ფარდები, აწესრიგებენ შუქის მოწოდების საქმეს და მრავალი სხვა. გაფაციცებით ემზადებიან სკოლის საარტილერიო და მესამე ასეული. პირველი ამზადებს სკოლაში დასადგმელად შემდეგ პიესებს: „სამედისწვრო ლანდი" (კომინტერნის აჩრდილი) და „7 ათასს" (მასიური დადგმით). მეორე კი—„შეშინებულ ანთიმოზს" და ვოდევილს სოფ. წყნეთში დასადგმელად დღესასწაულებზე.

ასევე ემზადებიან ყველა სხვა წრეებიც. ლენინის კუთხეები თანდათან ეწყობა და საზეიმო სახეს ღებულობენ.

ამას გარდა დღესასწაულისათვის ემზადებიან პირველ და მესამე ასეულის სალიტერატურო წრეები. სწავლობენ ლექსებს, ამბებს და მოგონებებს: „ივლისის დღეებზე" „ოქტომბრის დღეებიდან" და რუსეთის სამოქალაქო ომიდან სხვა და სხვა ეპიზოდებს.

სამხატვრო წრე კი ამზადებს სურათებს და ეპიზოდებს. მომღერალთა წრეც მეცადინეობს და იმედია შესაფერი პროგრამით გამოვა დღესასწაულის ჩატარებისათვის.

**სამხედრო ხისო ვანანი.**

## სალამი ახალწვეულებს!

მოგელით ამხანაგებო,
მით ხარობს ჩვენი გულიც;
თქვენთვის წითელი ყაზარმა
კოპწიად მოქარგულია.

ჩვენ მეტის მეტად გვახარებს
მოლოდინისა ფიქრები,
მოდით და მალე შეავსეთ
წითელი ჯარის რიგები.

გახსოვდეთ, ჩვენი ყაზარმა
სკოლაა მშრომელ ხალხისა,
თავისუფლების ბრძოლისთვის
ტანჯვაში დანათალხისა...

და განვამტკიცოთ რიგები
აღვმართოთ მაღლა ალამი;
ჩვენსკენ მომავალ სტუმრებსა
ჩვენი მხედრული სალამი!

**წ. არმ. დ. ხაზალია.**

## ჩვენს სამხედროთა შორის.

**6-ე ლეგ. სამხედროთა წრე.**

ჩვენი სამხედროთა წრის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მისი დაარსების დღიდან, ხელმძღვანელი საკმაოდ გამოცდილი და მცოდნე გვყავს.

ამ ჟამად წრის მთელი ყურადღება მიქცეულია ოქტომბრის რევოლუციის 8 წლის თავის დღესასწაულის ჩატარებისათვის და ახალწვეულების შეხვედრ სამზადისზე. ვარკვევთ და ვიმუშავებთ ამ მომენტებისათვის სამოქმედო გეგმებს. მზადდება სხვა და სხვა შინაარსის პლაკატები და ლოზუნგები, რომლებიც გამოფენილი იქნება წრის მიერ შესაფერ დროს. წრეში ორჯერ სწარმოებს კვირაში მეცადინეობა და ამ ჟამად ირიცხება მასში 22 აქტიურ ამხანაგებამდე.

**სამხედრო ნ. თავართქილაძე.**

## მე-6 ტერლეგიონის კომუჯრედში.

30 ოქტომბერს მოხდა ლეგ. მე-2 ათასეულის კომუჯრედის კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენებები ოქტომბრის დღესასწაულის 8 წლის თავის მოახლოვებისა და სხვა საკითხებზე. დღესწაულის მნიშვნელობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ყურაშვილმა, რომელმაც მრავალი ცნობები მოგვაწოდა რევოლიუციის წარმოშობის მიზეზებსა და მის ხელმძღვანელებზე. ამხ. მოჯავაგონა თუ ამხ. ამხ. ლენინი და ტროცკი როგორ ხელმძღვანელობას უწევდენ რუსეთის მუშათა კლასს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ. ამხ. აღნიშნა აგრეთვე ამ რვა წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების ყველა მიღწევები შინაურსა და საგარეო ფრონტებზე, რის შემდეგ გამოტანილი იქნა ერთხმად რეზოლიუცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ „მთელი ჩვენის ძალღონით ვიბრძოლებთ ჩვენი ეკონომიური და კულტურული ფრონტების განსამტკიცებლად და ვფიცავთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ დიდი რევოლიუციით მონაპოვარი".

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება პარტდამხმარე ჯგუფისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ჯგუფის დაარსება საჭიროდ იქნა ცნობილი და არჩეული იქნა მის ორგანიზატორად ამხ. ჩაკაბერია. უკანასკნელად კრებამ განიხილა სამი ამხანაგის განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ, აღიძრა შუამდგომლობა სადაც ჯერ არს მათი თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

**სამხედრო ე—ლი.**

## წითელ არმიელთა წერილებიდან.

### მოგვეცით საათი

**6 სე ლეგიონი.**

ლეგიონის საყარაულო შენობაში არა გვაქვს საათი, რის გამო გუშაგები თავის დროზე ვერ ვეცვლებით ერთმანეთს და ხშირად აქვს ადგილი უკმაყოფილებას და მთელ აურ-ზაურს. ამის გარდა საყარაულო შენობა ძლიერ ცუდად არის მოწყობილი, არა გვაქვს შიგ ღუმელი და სხვა საჭირო და აუცილებელი საგნები. საჭიროა ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსმა ყურადღება მიაქციოს ახეთ მდგომარეობას და უზრუნველგვყოს შესაფერი საგნებით.

**წ. არმ. მტკვრის პირელი.**

### გაგვიშვით აბანოში

**2-რე არტლეგ. სავაუბეცო დ ვიზიონი.**

აგერ სამი კვირა სრულდება რაც აღნიშნული ნაწილის წ. არმიელები აბანოში არ ვყოფილვართ. შეუძლებელია ასეთ მდგომარეობაში კიდევ ჩვენი გაჩერება. მოგვეცით აბანოში წასვლის საშვალება.

**სამხედრო ხოტევილი.**

### საჭიროა წესრიგი

**მეთაურთა გაერთიანებული სკოლა**

სკოლაში არსებულ წრეებს სამეცადინოთ დათმობილი აქვთ ტაქტიკაში სამეცადინო ლაბორატორიები, და მომაცდინე კურსანტებს ხელი ეშლებათ. საჭიროა დაუყონებლივ მოგვარდეს ეს გარემოება და დაცული იქნას წესრიგი, რომ კურსანტები ხელს არ უშლიდენ ერთმანეთს მეცადინეობაში.

ამას გარდა, მეცადინეობის დროს დიდად უშლის ხელს კურსანტებს სკოლის ელსადგურის მუშების დაუდევრობა. ისინი ხშირად თვრებიან და აჯახირებენ შუქის მოწოდების საქმეს. ყოველი თუთხმეტი წუთის განმავლობაში ჩააქრობენ სინათლეს და შემდეგ ისევ აანთებენ და ასე გვაწვალებენ. საჭიროა მათაც მიეცეთ შესაფერი გაფრთხილება.

**სამხედრო ჩვენი.**

## საყურადღებო მოხსენება.

**ჯ. ნსახკომის თეატრში.**

29 ოქტომბერს ჯანსახკომის თეატრი სავსე იყო ქართველ წითელ-არმიელებით, კურსანტებით და სხვა კერძო მოქალაქეებით. პირველად მოსმენილი იქნა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მავნებლობა მოაქვს სპირტეულ სასმელებს ადამიანისათვის, თამბაქოს წევას და სხვა. ლექცია ყველასათვის გასაგები და სასიამოვნო შეიქნა. შემდეგ ამავე შინაარსით გაიმართა წარმოდგენა. აქ კი თვალნათლათ ვიხილეთ სპირტეული სასმელების ნიადაგზე თამბაქოზე და სხვა ასეთებისაგან გამოწვეული უბედურებანი.

საღამო მეტად შინაარსიანი შეიქნა. მადლობის ღირსია ჯანსახკომის თეატრის გამგეობა ასეთი შინაარსიანი საღამოების გამართვისათვის და იმედი გვაქვს არც შემდეგ მოგვაკლებენ ასეთებს.

**წ. არმ. მუხლელი.**

## მეთაურთა სკოლის უმცროსი და სამცროსი გუნდებში.

ამ რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენი გუნდების არმიელები გაშვებული იქნებიან გრძელ ვადიან შვებულებაში. ამ დროისთვის სკოლა განსაკუთრებულ სამზადისშია. წითელ-არმიელთა საკუთარი ძალებით მზადდება დასადგმელად საშვებულებოთ: „წითელი გენერალი" (ახალი დადგმით) და ვოდევილი კომისარი".

კურსანტებიც შესაფერად ემზადებიან ამ საშვებულებო კამპანიისათვის. საშვებულებო კამპანიის გამეორება განზრახულია საშეფო სოფელ წყნეთშიდაც, რასაც მოუთმენლად მოელიან ამხ. არმიელები.

სკოლის მთელი შემადგენლობას გულმოდგინეთ აქვს მოკიდებული ხელი ამ საქმეზე და საერთო ცდა არის, რომ საკმაოდ მომზადებული ამხანაგები დაუბრუნოთ სოფლებს.

**სამხედრო ჩ—ი.**

## ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება.

**მე-4 ლეგ. მე-3 ასეული.**

შეკრების დასრულების შემდეგ ჩვენი ასეული გაემგზავრა თავის წერტზე. ლეგიონის მთელმა შემადგენლობამ მუსიკით გაგვაცილა და შემდეგ გამოსამშვიდობებელ სიტყვებში ლეგიონის მესვეურებმა ერთხელ კიდევ მოუწოდეს ოს-ცვალებად ამხანაგებს ენერგიული მუშაობისაკენ სოფლებში.

წერტზე ჩასვლისას დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით შეგვხვდა ადგილობრივი ხელისუფლება. იმ დღესვე ამოგვიჩინეს მშვენიერი ბინა და სხვა ყველა საჭირო საგნები. გავმართეთ მიტინგი, რომელზედაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაგვესწრენ. ასეულის თავმა აღნიშნა ყველა საყურადღებო საკითხები, რომელთა მოგვარებას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება და მოითხოვა ხელისუფლების დახმარება.

შემდეგ ოსურად ილაპარაკა ამხ. ჩიროევმა, რომელმაც გაახსენა გრძელ ვადიან შვებულებაში მიმავალ ამხანაგებს თავიანთი მოვალეობა.

ასეული ამ ჟამად კარგ მდგომარეობაშია. ადგილობრივი ხელისუფლება ყოველმხრივად გვეხმარება.

**სამხედრო კუჭუხიძე.**

## 5-ე ასეულის ცხოვრებიდან.

საერთო შეკრება დამთავრდა. ხსენებულ 5-ე ასეულმა მიაშურა თავის ძველ წერტს, სადაც შეუდგა თავის სერიოზულ ამოცანების შესრულებას. ამოქმედდა კომუჯრედი. დაიწყო მუშაობა მომავალ მუშაობის გეგმის შესადგენათ, სადაც უმთავრესი ყურადღება ექცევა სამოქალაქო ორგანიზაციებთან და ცვალებადელთან შესადგენლობასთან კავშირს. კულტ-შეფობის ქვეშ უკვე აყვანილი იქმნა ერთი სოფელი, რომელსაც ვაწვდით გაზეთებს. ჯერ-ჯერობით გლეხებთან წაკითხული იქნა ერთი საჯარო მოხსენება.

საშეფო კომისიის თავმჯდომარეთ თვით ცვალებადელი არმიელი იქნა არჩეული, რომელიც ენერგიულ მუშაობას ეწევა. განზრახული გვაქვს ნოემბრის შუა რიცხვებში თემრწმუნებულების და ტერკორების თათბირის მოწვევა, რომელიც მისცემს 5-ე ასეულს საშვალებას უფრო დაუკავშირდეს ცვალებადთა ფართო მასას.

ასეულში ჩამოყალიბებულია სამი წრე: პოლიტიკური, სამხედროთა და სამეურნეო, რომელიც ჩქარა ამოქმედდება.

თუ ზევიდან გაგვიწიეს ისეთი დახმარება, როგორიც საჭიროა, ყველა დავალებულ ამოცანებს შევასრულებთ პირნათლათ. ამისთვის კი საჭირო იქნება ჩვენთვის ცხენი, წერილობით კავშირისათვის მარკები და სხვა მრავალი წვრილმანი, რომლის უქონლობა ჩვენ მუშაობას შეაფერხებს.

**სამხედრო კ. ბალათურია.**

## ახკომკავშირელთა შორის.

### ახკომკავშირელები წითელი ჯარის რიგებისაკენ.

ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, რომ სოფ. ტეზერის ახალგაზრდობა (ახკომკავშირელები) ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდენ ადგილობრივი კლუბის წინ. ყველას მოედვა ზურგზე ცოტ ცოტა საგზალი და მხიარული სახით ემასესბოდენ თავის მშობლებს და ნათესავებს, რომლებიც თან მოყვებოდენ კლუბთან მხიარულ ახალგაზრდობას.

მზეს კიდევ არ ეკრა წვერი, რომ ყველა შეგროვილი იყო კლუბის წინ და ეწყობოდენ რიგში გამოსამგზავრებლად. ნათესავები, მშობლები და სხვა დაემშვიდობენ ახალგაზრდებს.

ბევრი დედები მაინც არ სცილდებოდენ რიგში ჩამდგარ შვილებს, ჰკოცნიდენ, ეალერსებოდენ და რაღაცას აბარებდენ.

...აგერ გამოიტანეს დიდი წითელი დროშაც და ახალგაზრდობაც დაიძრა...

—„აბა თქვენ იცით შვილებო თუ არ დაგვიწყებთ წერილები მოიწერეთ". „გენაცვალოს დედა მე ვერ დასწავლე აქ ვერაფერი, ეხლა იდალოცვილი მთავრობა გასწავლის ყველაფერს და შენ იცი თუ გულმოდგინეთ მოჰკიდებ ხელს სწავლას. შვილო ერთი შენი ხელით დაწერილი წიგნი ვნახო და მერე თუნდა მოვკვდე"—გვერდში გადევნებით მისძახოდა დედა თავის შვილს.

...ახალგაზრდები წითლად მოფრიალე დროშის ქვეშ მხიარული სიმღერით მიეშურებოდენ სადგურისაკენ, სადაც უცდიდათ მატარებელი.

წითელ ყაზარმაში მისვლა ყველას უხაროდა და ნატრობდენ იმას როდის გახდებოდენ ნამდვილი წითელ არმიელები.

**კურსანტი მუშკუნა.**

## „სტეფანე ხალტურინი“.

კინო-სურათი 12 ნაწილად.

ამ ჟამად თბილისის კინოებში აჩვენებენ სურათს—„სტეფანე ხალტურინი“.

სურათში გამოყვანილია რუსეთში რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარების, მთელი პოქა. როდესაც მუშათა კლასმა დაიწყო გამოღვიძება, შეუდგა ორგანიზაციულად ბრძოლას ჯერ მეფის და შემდეგ კაპიტალისტების წინააღმდეგ.

აქ ნათლად არის ნაჩვენები ის გმირობა და თავგანწირვა, რომელსაც იჩენდნენ პირველი მებრძოლები მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის.

სურათს აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ წითელ ჯარს.

ამ სურათის საშვალებით მაყურებელი ეცნობა კომპარტიის ისტორიის რამოდენიმე პერიოდს, ეცნობა არა მშრალი მასალის საშუალებით, არამედ ცოცხალ სურათებით. მაყურებელი ეცნობა აგრეთვე ჩვენ წარსულს, როდესაც ყოველი მშრომელი კანონს გარეშე იყო გამოცხადებული, როდესაც მას არ ჰქონდა უფლება თავისუფლად ეზროვნა, როდესაც მისი არსებობა დამოკიდებული იყო რომელიმე უტვინო „პრისტავისაგან“. საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, რომ ეს სურათი ნაჩვენები იქნეს რომელიმე დიდ კინო-თეატრში წითელი არმიელებისთვის.

ე. ხ.

## მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო.

1-ლი ლეგ. ექიმის საყურადღებოთ.

ჩვენი სამნეო და მზვერავი გუნდები დაცილებული არიან ლეგიონიდან. ოქტომბრის 29 გუნდში ღამით ძლიერ ავად გაგვიხდა ერთი წ.-არმიელი. მივმართეთ ლეგიონის მორიგე ფერშალს, რომელსაც ცხენიც კი მიუყვანეთ, რომ წაგვყოლოდა ავადმყოფის სანახავად, მაგრამ მაინც არ დაგვთანხმდა, ავადმყოფი აქ მოიყვანეთო. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ავადმყოფ წ.-არმიელის დაძვრა არ მოხერხდა.

რას მივაწეროთ ექიმის თანაშემწის ასეთი საქციელი.

სამხკორი ჯოლოხველი.

## პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ მიმიღებენ თუ არა რკინის გზის დამცველ რაზმში?

წ.-არ. კობახიძე.

პასუხი. როგორც წ. არმ. პირველ რიგში უნდა მიგიღონ, თუ თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა.

კითხვა. მე მიწევს ჯარში გაწვევა. მიწერილი ვარ ლეჩხუმის მაზრის სამხ. კომისარიატში. იქ წასასვლელი საშუალება არ მაქვს. შემიძლია თუ არა გამოვცხადდე ადგილობრივ?

პასუხი. კანონის ძალით არ შეიძლება, მაგრამ მიმართეთ თფ. მაზრის კომისარიატის სამობილიზაციო განყოფილებას.

კითხვა. ვარ გამოწვეული 1924 წ. შემოდგომაზე. მეკუთვნის თუ არა შვებულება?

პასუხი. მოკლე ვადიანი შვებულება ეკუთვნის წ. ა. ერთი წლის სამსახურის შემდეგ ოჯახური მდგომარეობის გამო.

კითხვა. ვარ გამოწვეული 1924 წ. მაისში. შვებულებით არ მისარგებლია. შეუძლია თუ არა ნაწილს ამის გამო დამითხოვოს უვადო შვებულებაში 6 ნოემბერს?

პასუხი. ნაწილმა უნდა დაგითხოვოს თქვენ უვადო შვებულებაში პირველ დეკემბრამდი.

კითხვა. ვარ გამოწვეული 1924 წ. მაისში. ჩემთან გამოწვეულები პირველ დივიზიიდან დაითხოვეს. როდის დამითხოვენ მე?

პასუხი. დაგითხოვენ პირველ დეკემბრამდი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადება

### სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა მეთოდიური გაერთიანების ბიურო

ამით აუწყებს სკოლის გარეშე განათლების მუშაკთ, რომ 2 ნოემბერს დილის 10 საათზე წითელ-არმიის და ფლოტის საზამთრო შენობაში დაიწყება ჯგუფური მეცადინეობა,

**თემები:**

1. მუშაობა კანტინ მი;

2. შესწავლა მკითხველთა ინტერესების და კითხვის ხელმძღვანელობა.

ბიუროს მდივანი ე. ხუციშვილი.

## ამხ. მ. საწირელის საპასუხოდ.

გაზ. „წითელ არმიელის“ № 242-ში მოთავსებული იყო სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან ამხ. მ. საწირელის წერილი, რომელიც ეხება სკოლაში წრეების სისტემატიურად მეცადინეობის და ამბობს, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში გამოიღო მათმა მუშაობამ შესაფერი ნაყოფიო. ამას გარდა ამხ. აღნიშნავს თითქოს ზოგიერთი წრეები ამ უკანასკნელი ხანებში დაარსებულიყოს და მხოლოდ ეხლა გაიცნობდენ კურსანტები თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ.

არ ვიცი რად დასჭირდა ამხ. საწირელს ასეთი არა სწორი ცნობის დაწერა. ჯერ ერთი წრეები დიდი ხანია არსეობენ ჩვენთან და შესაფერი მუშაობაც მიმდინარეობს და მეორე ჩვენი კურსანტები დიდი ხანია იცნობენ თუ რა მნიშვნელობა აქვს წრეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მიუტევებელი დანაშაული იქნებოდა ჩვენთვის, რადგან საიდაც არის სკოლას გავათავებთ და როგორი პოლიტხელმძღვანელები უნდა ვიქნეთ, თუ აქამდე არ გვეცოდინებოდა წრეების მნიშვნელობა. იქნებ თვით ამხ. საწირელს არ გაუგია ეს აქამდე? მაშინ რა შვაშია სხვა კურსანტები.

ასე დაუკვირებლად განცხადება გაზეთის ფურცლებზე არ არის კარგი. საჭიროა სინამდვილის დაცვა.

წ. ქვისჯვარელი.


## საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან

### მეორე საგლეხო მომგებიან სესხის გამოშვების და მასზე ხელის მოწერის შესახებ

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით გამოშვებული იქნება მეორე სახელმწიფო საგლეხო მომგებიანი სესხი ორი წლის ვადით 1925 წლის 1 ნოემბრიდან 1927 წლის 1 ნოემბრამდე.

### სესხის პირობები

სესხი გამოშვებული იქნება ათ სერიათ 10.000.000 მანეთის რაოდენობით თვითეული, ობლიგაციების ფასი იქნება 5, 10 და 50 მანეთი.

ობლიგაციები იძლევიან ყოველწლიურ შემოსავალს 12 პროც.-ის რაოდენობით, რომელიც განაღდებული იქნება ყოველთვიურად. კუპონით, თვითეული თვის პირველ რიცხვებში.

ობლიგაციები მონაწილეობას იღებენ მოგებათა 8 ტირაჟში, ყოველ სერიის თვითეული ტირაჟი გათამაშებული იქნება 3.281 მოგება 120.000 მან. რაოდენობით, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მოგება | 5.000 | მანეთიანი |
| 5 | „ | 1.000 | „ |
| 25 | „ | 500 | „ |
| 50 | „ | 100 | „ |
| 700 | მოგება | 50 | მანეთიანი |
| 2.500 | „ | 25 | „ |

მოგებათა პირველი ტირაჟი მოხდება ა.-წ. 15 დეკემბერს.

მასში მონაწილეობას მიიღებს სესხის ორი სერია: გათამაშებული იქნება 6.568 მოგება 250.000 მანეთის რაოდენობით.

ობლიგაციები მიიღება სახელმწიფო იჯარების და მიწოდების აღების დროს საწინდრის სახით და აგრეთვე ობლიგაციებით შეიძლება ვადაგასულ აქციზის და საბაჟო გადასახადების გასტუმრება.

ობლიგაციები და ყოველგვარი გარიგებანი ამ ობლიგაციებით თავისუფლდება ყოველგვარ სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებისაგან.

### ხელის მოწერა სესხზე.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი ა.-წ. 1 ნოემბრიდან უშვებს მე-2 სახელმწიფო საგლეხო მომგებიან სესხის პირველ და მეორე სერიას, რომლის ნომინალური ჯამი უდრის 20.000.000 მანეთს.

შემდეგი სერიები გამოშვებული იქნება საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ კომისარიატის მიერ არა უადრეს 1925 წ. დეკ. ბოლო რიცხვებისა

1925 წ. 15 დეკემბერს მოხდება მეორე სახელმწიფო საგლეხო მომგებიან სესხის მოგებათა ტირაჟი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ პირველი ორი სერია.

ხელისმოწერა მიიღება ყველა საკრედიტო დაწესებულებებსა და შემნახველ კასებში.


ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.